დამტკიცებულია
რექტორის 2020 წლის 12 მარტის №178 ბრძანებით

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ელექტრონული სწავლების განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ელექტრონული სწავლების განხორციელების წესი ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირებისათვის (გარდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული სტუდენტის) თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის ან მისი ნაწილის წარმართვის წესს, რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილზე სტუდენტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასა და საგანმანათლებლო პროცესის ადმინისტრირებაში ჩართული პერსონალის ერთდროულად ყოფნას.
1.2. ელექტრონული სწავლება ითვალისწინებს სასწავლო პროცესის სწავლის მართვის სისტემის გამოყენებით წარმართვას. სწავლის მართვის სისტემა არის ინტერნეტზე დამყარებული კომპიუტერული პროგრამა, რომელიც აუცილებელია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვისათვის, კერძოდ, სასწავლო მასალების მიწოდებისათვის, სტუდენტის (გარდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული სტუდენტისა) სტუდენტთან ან/ და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალთან კომუნიკაციისათვის, ტესტირებისათვის, კონსულტირებისათვის, სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგისა და სხვა მიზნებისათვის.

მუხლი 2. ელექტრონული სწავლების ფორმები და მეთოდები

2.1. ელექტრონული სწავლების ძირითადი საშუალებაა ონლაინ ლექციები, სემინარები და პრაქტიკული მეცადინეობები - დისტანციური სწავლების ფორმა, სადაც მიწოდების ძირითადი მექანიზმია ინტერნეტი. მათი ჩატარება სინქრონულად და/ან ასინქრონული გზით არის შესაძლებელი.
2.2. ელექტრონული სწავლება ხორციელდება ასინქრონული ან/და სინქრონული კომუნიკაციის ფორმით:
ა) ასინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნი და მიმღები ერთსა და იმავე დროს არ ახდენენ კომუნიკაციას. ასინქრონული კურსების დროს სტუდენტებს არ მოეთხოვებათ მონაწილეობდნენ სესიებში ლექტორებთან ერთად. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ბეჭდურ მასალაზე დაფუძნებული კურსები ან ონლაინ კურსები, რომლებისთვისაც მაგალითად, სწავლების მართვის სისტემა გამოიყენება.
ბ) სინქრონული გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც მათი კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება. სინქრონული ონლაინ კურსებში სტუდენტები და ლექტორი ერთდროულად მონაწილეობს, მაგრამ სხვადასხვა ლოკაციიდან - ძირითადად სასწავლებლის

შენობის გარეთ. ეს კურსები შეიძლება ჩატარდეს ვიდეო კონფერენციებით, ვებ კონფერენციებით, აუდიო კონფერენციებით და ა.შ.
2.3. შერეული / ჰიბრიდული კურსები, რომლებიც აგებულია ისე, რომ მოიცავს, როგორც ონ-ლაინ ასევე „პირისპირ“ სწავლების მეთოდების კომბინაციას.
2.4. ელექტრონული სწავლების კომპონენტები გამოიყენება საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა ვითარების დროს, რაც გამორიცხავს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ლექტორისა და სტუდენტის ერთდროულად ყოფნას.
2.5. ელექტრონული სწავლება პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს მოქნილი მეთოდების გამოყენებით უზრუნველყონ კომუნიკაცია და პროგრამით გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევა.

მუხლი 3. ელექტრონული სწავლების პლატფორმები

3.1. ელექტრონული სწავლების სინქრონული კომუნიკაციისათვის გამოყენება პროგრამა ZOOM-ის ლიცენზირებული ვერსია.
3.2. ელექტრონული ასინქრონული კომუნიკაციისათვის გამოიყენება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა: emis.seu.edu.ge; reg.seu.edu.ge;

მუხლი 4. ელექტრონული სწავლების ადმინისტრირება

4.1. ელექტრონული სწავლების პროცესის დაგემვასა და განხორციელებაში ჩართულია ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი.
4.2. IT დეპარტამენტი უზრუნველყოფს აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული დამხმარე პერსონალის მხარდაჭერას, ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით მათ დატრენინგებას, საჭირო ინსტრუქციებისა და წესების მიწოდებას.
4.3. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ელექტრონული სისტემა emis.seu.edu.ge; reg.seu.edu.ge მეშვეობით ამოწმებს, მიმდინარეობს თუ არა ლექცია/სემინარი ცხრილით განსაზღვრულ დროს. ახორციელებს ვიდეო ლექციების და სასწავლო მასალების სტუდენტის ელექტრონულ პორტალზე განთავსების კონტროლს.
4.4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხორციელდება ჩაწერილი ვიდეოლექციების მონიტორინგი, იყენებს თუ არა ლექტორი სილაბუსით განსაზღვრულ სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, ადგენს სასწავლო კურსის სილაბუსით გაწერილი თემატიკის შესაბამისობას ლექციასთან, ახორციელებს ვიდეო ლექციების, პრეზენტაციებისა და სასწავლო მასალების სტუდენტის ელექტრონულ პორტალზე განთავსების კონტროლს.
4.5. შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს ელექტრონული სწავლების პროცესში გამოყენებული მასალებისა და ჩაწერილი ვიდეო-ლექციის შინაარსობრივ მონიტორინგს, IT დეპარტამენტისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით.
4.6. ბიბლიოთეკა სასწავლო კურსის განმახორციელებელ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან შეთანხმებით უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული

ლიტერატურის მიხედვით რიდერების მომზადებასა და მათ განთავსებას ელექტრონულ პორტალზე.
4.6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ონლაინ რეჟიმში უზრუნველყოფს ტრენინგების ჩატარებას სწავლა-სწავლების და შეფასების ფორმებსა და მეთოდებზე.

მუხლი 5. სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები

5.1. სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ინფორმაცია ელექტრონული სწავლების შესახებ;
ბ) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე;
გ) საჭიროების შემთხვევაში მიიღოს ტექნიკური დახმარება;
დ) უნივრსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებითა და შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე ჩაერთოს უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ ელექტრონული სწავლების პროცესში, ელექტრონულად გაიაროს ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია;
ე) ჩაერთოს ონლაინ რეჟიმში, დასვას კითხვები და მიიღოს პასუხები;
ვ) ონლაინ პლატფორმის საშუალებით მიეწოდოს ვიდეო ლექციები, აუდიომასალა, პრეზენტაციები, ძირითადი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები;
ზ) გონივრულ ვადაში აცნობოს ადმინისტრაციას ელექტრონული სწავლების პროცესში წარმოქმნილი სირთულეების შესახებ.

5.2. სტუდენტი ვალდებულია:

ა) უნივერსიტეტის კორპორაციული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაიაროს ZOOM-ში რეგისტრაცია, რათა ადვილად იყოს შესაძლებელი სტუდენტის იდენტიფიცირება;
ბ) ონლაინ რეჟიმში ჩართვა განახორციელოს წყნარი სივრციდან და დაიცვას ეთიკის ნორმები;
გ) ონლაინ სივრცეში შემოსვლით და ჩართულობით დაადასტუროს ლექცია/ სემინარზე მონაწილეობა;
დ) მონაწილეობა მიღოს გამოკითხვებში და შეასრულოს მისთვის განსაზღვრული დავალება;
ე) უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში ჩააბაროს შუალედური და დასკვნითი/ დამატებითი გამოცდები;
ვ) შუალედურ და დასკვნით/დამატებით გამოცდებზე ჩართოს ვიდეო კამერა.

მუხლი 6. აკადემიური/მოწვეული პერსონალის უფლებები და ვალდებულებები

6.1. აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების შესახებ;
ბ) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით;
გ) მიიღოს ზუსტი ინფორმაცია სასწავლო განრიგის შესახებ;

დ) ლექცია/სემინარის მიმდინარეობისას გაუთიშოს სტუდენტს მიკროფონი და საჭიროების შემთხვევაში მოხსნას ონლაინ ლექციიდან;
ე) თავად განსაზღვროს, ვიდეო ლექციის ჩართვა-ჩაწერა უნივერსიტეტის შენობიდან განახორციელოს თუ სხვა ლოკაციიდან;
ვ) საჭიროების შემთხვევაში მიიღოს ტექნიკური დახმარება.

6.2. აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია:

ა) შრომითი ხელშეკრულებისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების საფუძველზე ჩაერთოს ელექტრონული სწავლების დანერგვის პროცესში;
ბ) ლექცია/ სემინარის მიმდინარეობა უზრუნველყოს უწყვეტი ინტერნეტით, დაიცვას სიწყნარე და აკადემიური პროცესისათვის დადგენილი ნორმები;
გ) მოამზადოს და და დადგენილ ვადებში სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ატვირთოს სასწავლო მასალები (ლექცია/სემინარის ვიდეოჩანაწერი, ტექსტური მასალა ან power point პრეზენტაცია, სასწავლო ლიტერატურა, დავალებების და სხვ.);
დ) სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით უზრუნველყოს სტუდენტთა ცოდნის შემოწმება-შეფასება ელექტრონული ფორმით;
ე) სასწავლო კურსის სილაბუსში კონკრეტული ცვლილებების შემთხვევაში შეატყობინოს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. ელექტრონული სწავლების განხორციელების წესი მტკიცდება რექტორის ბრძანებით.
7.2. წინამდებარე წესში ცვლილებისა და დამატების შეტანა შესაძლებელია რექტორის ბრძანებით.